**კორუფციის რისკები შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აგრძელებს სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კვლევას.

2016 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, განსხვავებით, საერთაშორისო, საუკეთესო მოდელებისგან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ნაკლოვანია სახელმწიფო საწარმოებში კორუფციული რისკების, ნეპოტიზმის პრევენციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.

კერძოდ, განსაკუთრებით პრობლემურ საკითხებად შეიძლება მივიჩნიოთ მათ საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევა, მაღალ და საშუალო დონეებზე მმართველების დანიშვნისა და გათავისუფლების ბუნდოვანი, გაუმჭვირვალე პროცესი. ასევე პრობლემურია მოქმედი ხელისუფლების ოჯახის წევრებისა და ახლობლების დასაქმების პრაქტიკა. საერთო ჯამში, მართვის არაეფექტიანი სისტემა და კორუფციის პრევენციის სუსტი შიდა და გარე მექანიზმები მაღალ კორუფციულ რისკებს წარმოშობს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის პროცესში.

ამ მხრივ გამონაკლისი არაა არც 100% სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.” ამ კომპანიის მიმართ ინტერესს ამწვავებს ის გარემოებაც, რომ მასთან ბოლო პერიოდში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კორუფციული დანაშაულია დაკავშირებული, რომელიც კომპანიის კუთვნილი 2 მლნ ლარზე მეტი თანხის მითვისებას ეხებოდა.

**დირექტორების დანიშვნის წესი და მათი დამოუკიდებლობის გარანტიები**

სახელმწიფო საწარმოებში დირექტორების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში დანიშვნისა და გათავისუფლების წესების და დამოუკიდებლობის გარანტიების არარსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ასეთი წესების არარსებობა საწარმოების მართვაზე პოლიტიკური ზეგავლენის რისკებს ქმნის, რაც, როგორც წესი, კომპანიების მმართველ თანამდებობებზე ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების დანიშვნაში გამოიხატება.
ასეთი ნიშნები არსებობს შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაშიც,” რაზეც კომპანიის მენეჯმენტში უკანასკნელ წლებში განხორციელებული ცვლილებები მიუთითებს.

შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რეგიონული განვითრებისა და ინფრასტურქტურის სამინისტრო. სამინისტროს განმარტებით, **საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული რაიმე ტიპის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღნიშნული თანამდებობისთვის.** თუმცა, მათივე ინფორმაციით, “*სამინისტრო დირექტორის შერჩევის დროს ითვალისწინებს პირის კვალიფიკაციას, სამუშაო გამოცდილებას, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებასა და მსგავსი ტიპის ორგანიზაციის მართვის გამოცდილების კრიტერიუმებს.*”

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის" გაცემული ამ პასუხის მიუხედავად, სამინისტროს მიერ კომპანიის ხელმძღვანელების შერჩევისა და გათავისუფლების პრაქტიკა მათ მიერვე დასახელებული კრიტერიუმებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

კერძოდ, უწყების განცხადებით, 2013 წლიდან 2016 წლამდე გათავისუფლებული იქნა შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 4 დირექტორი შემდეგი საფუძვლებით - 2 შემთხვევაში პირადი განცხადება (29.10.2014 და 29.05.2015), 1 შემთხვევაში სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა (08.02.2016) და 1 შემთხვევაში - ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა (23.05.2016).

კომპანიის ამჟამინდელი დირექტორი გიორგი კობერიძე ამ თანამდებობას 2016 წლის მაისიდან იკავებს. მანამდე ის ამავე კომპანიის დირექტორის მოადგილის, დირექტორის მრჩევლისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის პოსტებს იკავებდა. საყურადღებოა, რომ საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, პოლიტიკური თანამდებობის პირი (მათ შორის, მინისტრის მოადგილე) შესაძლოა არ განიხილებოდეს დირექტორობის საუკეთესო კანდიდატად პოლიტიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ცალკე აღნიშვნის ღირსია სამინისტროსა და კომპანიის ხელმძღვანელ რგოლებს შორის თანამდებობის პირთა მონაცვლეობის პრაქტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოა, თანამდებობის პირების "მბრუნავი კარის" პრინციპით ცვლილება კორუფციის რისკებს ქმნის.

გიორგი კობერიძემდე შპს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორის მოვალეობას 2016 წელს დროებით ნუგზარ ხუციშვილი ასრულებდა. მისი ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ხუციშვილი ამ პოზიციაზე დანიშვნამდე მუშაობდა ა(ა)იპ ატუ-ს ფინანსურ დირექტორად და შპს „ბურჯის" დირექტორის მოადგილედ. ორივე ეს ორგანიზაცია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ოჯახთანაა დაკავშირებული, რაც მისი შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს.

ბოლო პერიოდში კომპანიის დირექტორის პოსტი ეკავათ ნიკოლოზ ქიზიყურაშვილსა და ვლადიმერ ლაზარიშვილსაც. ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი კომპანიაში თავდაპირველად დირექტორის მრჩევლის, შემდეგ კი დირექტორის თანამდებობაზე იყო. ქონებრივ დეკლარაციაში მას რამდენიმე ბიზნეს-სუბიექტში სამეწარმეო საქმიანობა აქვს მითითებული.

თუმცა, გამოცდილების თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ვლადიმერ ლაზარიშვილი, რომელიც "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორად დანიშვნამდე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი იყო, იქამდე კი შსს-ში მრავალი წლის მანძილზე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, რამდენად შეესაბამება რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტება, რომ უწყება *"დირექტორის შერჩევის დროს ითვალისწინებს პირის კვალიფიკაციას, სამუშაო გამოცდილებას, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე*

*მუშაობის გამოცდილებასა და მსგავსი ტიპის ორგანიზაციის მართვის გამოცდილების კრიტერიუმებს"* მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პოლიტიკური ზეგავლენისგან დაცულობისა და კანდიდატების სამართლიან და კონკურენტულ პირობებში შერჩევის გარდა, მნიშვნელოვანია მათი დამოუკიდებლობის გარანტიებიც. ამის საპირისპიროდ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების შესწავლა აჩვენებს, რომ სამინისტრო ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ "მეწარმეთა შესახებ" კანონსა[1] და სამინისტროსა და დირექტორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ეყრდნობა.

სწორედ ასეთი ხარვეზების აღმოსაფხვრელად "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" რეკომენდაციაა, საქართველოში მოქმედი ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრინციპები სრულად გავრცელდეს სახელმწიფო საწარმოებზე, მათ შორის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის პრევენციის, სამსახურში სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის მკაფიო საფუძვლების შემუშავების კუთხით.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ასევე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელების შერჩევისთვის კანონით უნდა დადგინდეს გამჭვირვალობის, ღია და სამართლიანი კონკურსით შერჩევის მაღალი სტანდარტი. კანონით უნდა განისაზღვროს სახელმწიფო საწარმოების დირექტორებისა და დირექტორთა საბჭოების შერჩევის და სამსახურიდან დათხოვნის მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმებიც.

**საკადრო პოლიტიკა**

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შპს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან" გამოითხოვა კომპანიაში საკადრო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, თუმცა ის ჩვენთვის არ მოუწოდებიათ. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ასეთი დოკუმენტი კომპანიას არ აქვს.
ამავე დროს, საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფო საწარმოებისთვის არ არსებობს თანამშრომლების ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით შერჩევის ვალდებულება.
ამ ფონზე, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების სახელმწიფო საწარმოებში დასაქმების შემთხვევები განსაკუთრებით აჩენს კითხვის ნიშნებს საწარმოს მართვის პრაქტიკასა და კორუფციასთან (მაგ. ნეპოტიზმთან) დაკავშირებით.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში რამდენიმე ასეთი სავარაუდო შემთხვევა არსებობს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით:

---

[1] მე-9 მუხლის $7^1$ პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, მე$9^1$ მუხლის მე-6 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი

- პარლამენტის წევრის, იურდიულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარის ეკა ბესელიას და, ცირა ბესელია 2016 წლის 13 ივნისიდან წყალმომარაგების კომპანიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში კონსულტანტის პოზიციაზეა დასაქმებული.
- მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის ძმის ცოლი მეგი ბლიაძე ასევე დასაქმებულია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურში მთავარი სპეციალისტის პოსტზე.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შოთა გეწაძის მეუღლე თეონა ხმალაძე წყალმომარაგების კომპანიის საქმისწარმოების მთავარი სპეციალისტის პოსტს იკავებს.

აქვე აღსანიშნავია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებაც, რომ კომპანიის წესდების შესაბამისად, კომპანიის დირექტორის მოადგეილესთან/მოადგილეებთან, კომპანიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებთან შრომითი ურთიერთობების წარმოშობისთვის აუცილებელია პარტნიორის [სამინისტროს] წერილობითი თანხმობა. ამდენად, ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს გარკვეული კომპეტენცია და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც, კომპანიაში არსებული საკადრო პოლიტიკის კუთხით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამინისტროს და კომპანიის ხელმძღვანელობამ უპასუხოს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ “გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” დირექტორის მოადგილე გიორგი ცეცხლაძე მინისტრ ზურაბ ალავიძის მეჯვარეა.

**კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო როგორც კომპანიის პარტნიორი განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის ბიზნესგეგმას, რომელშიც, მათ შორის, ასახულია ინფორმაცია სახელფასო პოლიტიკისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. კერძოდ, სამინისტროსთან თანხმდება ჯამური ოდენობები, რომლის ფარგლებშიც კომპანია მოქმედებს დამოუკიდებლად.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია კომპანიის წამგებიანობის გამო გაერთიანებულ წყალომარაგების კომპანიაში ხარჯების ოპტიმიზაციაა, ვინაიდან, აუდიტის დასკვნის თანახმად, კომპანიის არსებობის 5 წელიწადში მისი უარყოფითი ფინანსური შედეგები 10 მილიონიდან 76 მილიონამდე გაიზარდა.

*სახელფასო პოლიტიკა*

2016 წლის მდგომარეობით გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიაში საერთო ჯამში დაახლოებით 2700 ადამიანია დასაქმებული, რომელთა წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ 2016 წელს, ამავე წლის ბიზნეს-გეგმის თანახმად, 17,3 მლნ ლარი შეადგინა.
აქედან, კომპანიაში, რომლის მისიაც რეგიონებისთვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფაა, თბილისის სათავო ოფისში 303 ადამიანია (11%) დასაქმებული, და მათი ჯამური ანაზღაურება დაახლოებით 6 მლნ ლარია (უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასების ჩათვლით).




საინტერესოა, რომ ამ მონაცემებზე დაყრდნობით “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” მთლიანი სახელფასო ფონდის თითქმის 35% თბილისის ოფისის თანამშრომლებზე, მათ შორის კომპანიის ხელმძღვანელობაზე მოდის.

წლიდან წლამდე კომპანიის გაუარესებული ფინანსური მაჩვენებლების ფონზე ასევე საყურადღებოა სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მითითებული სახელფასო პოლიტიკისა და სამივლინებო ხარჯების პრობლემური საკითხები. მაგალითად:

- 2013 წლის ივლისსა და დეკემბერში კომპანიის ხელმძღვანელობას ჯამში მიღებული აქვს 219,650 ლარის დანამატი, რაც მათივე წლიური თანამდებობრივი სარგოს 99% შეადგენს.
- 2014 წელს გაცემული ხელფასებისა და დანამატების 71 % უმაღლეს ხელმძღვანელობაზე მოდის, 53% მრჩეველებზე, დეპარტამენტის უფროსები/მოადგილეები - 50%, სამსახურის უფროსები/მოადგილეები - 17 %, მენეჯერები/მოადგილეები - 8%, ადმინისტრაცია - 13%, სხვა დანარჩენი - 8%.

აღნიშნული ფაქტები სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიაზე მყოფი, წამგებიანი სახელმწიფო კომპანიის მაგალითზე კარგად წარმოაჩენს სახელმწიფო საწარმოებში გამჭვირვალე, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელფასო პოლიტიკის დანერგვის აუცილებლობას.

***თბილისის ოფისის იჯარა***

“გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” საქმიანობის არეალს მხოლოდ რეგიონები წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კომპანიას ყველაზე დიდი, სათავო ოფისი თბილისში აქვს და მასში გადახდილი იჯარის თანხა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წელს კომპანიამ თბილისის ოფისის იჯარაში 991 320 ლარი გადაიხადა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს კომპანიას საქართველოს

მასშტაბით, რეგიონული ოფისებისა და თბილისის ოფისის იჯარა სულ 1,072,492 ლარი დაუჯდა, აქედან 92% (991 320 ლარი) სწორედ თბილისის ოფისის იჯარაზე მოდიოდა.




თბილისში კომპანიის სათაო ოფისის არსებობის საჭიროება ეჭვქვეშ აუდიტის სამსახურის დასკვნამაც დააყენა და რეგიონული განვითარების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა, ხარჯების ეკონომიისა და კომპანიის საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე განეხილა თბილისიდან ოფისის გადატანის შესაძლებლობა.



მიუხედავად ამისა, ეს რეკომენდაცია სამინისტრომ და კომპანიამ არ გაითვალისწინეს და 2017 წელს იჯარის თანახის გადახდა კვლავ მიმდინარეობს, რამაც შესაძლოა წლის მანძილზე 1 მლნ ლარს გადააჭარბოს.

უფრო მეტიც, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს და არსებულ ვითარებაში აპირებს დედაქალაქში საკუთარი სათავო ოფისი ააშენოს, რომლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისთვის უკვე დახარჯული აქვს 247,516 ლარი. თუმცა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის დირექტორის ცვლილების გამო, ოფისის შენობის პროექტი კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს, რაც ბუნებრივია დამატებით ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული

*ავტომობილები და საწვავის ხარჯები*

2017 წლის მდგომარეობით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბალანსზე საერთო ჯამში 6,5 მლნ ლარის ღირებულების 192 გაპიროვნებული და სამსახურეობრივი ავტომობილია. აქედან, 28 მანქანას გაპიროვნებულის სტატუსი აქვს (თანამდებობის პირის სარგებლობაში მყოფი). გაპიროვნებული ავტომობილების ჯამური ღირებულება შეძენის მომენტში 1 149 024 ლარი იყო. 2017 წლის ბიზნეს გეგმის თანახმად, საწვავისთვის განკუთვნილი ხარჯი 1,86 მლნ ლარს შეადგენს.

ამავე დროს, თბილისის ოფისში, 2016 წელს 21 განპიროვნებული ავტომობილისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტი თვეში 6050 ლიტრი იყო, ხოლო 25 მორიგე ავტომობილისთვის 5250 ლიტრი.




შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბილისის ოფისში, კომპანიის მენეჯმენტმა (21 თანამდებობის პირმა) 2016 წლის მანძილზე დაახლოებით 72,6 ტონა საწვავი მოიხმარა, ხოლო

მორიგე ავტომობილებისთვის წლიურად გამოყოფილი საწვავის ოდენობა ამაზე ნაკლები - 60 ტონა არის.

**"გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" შესყიდვები**

2013-2015 წლებში კომპანიამ ტენდერის გზით 23 მლნ ლარის საერთო ღირებულების 381 ხელშეკრულება გააფორმა. აქედან, 2013 წელს - ჯამში 4 მლნ სახელშეკრულებო ღირებულების 49 ხელშეკრულება, 2014 წელს 7 მლნ ღირებულების 56 ხელშეკრულება და 2015 წ. 12 მლნ ღირებულების 276 ხელშეკრულება დაიდო.

ამავე წლებში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას გამარტივებული წესით 24,5 მლნ საერთო სავარაუდო ღირებულების 2769 ხელშეკრულება აქვს დადებული.
კერძოდ, 2013 წელს 12,7 მლნ ღირებულების 601 ხელშეკრულება, 2014 წ - 10,6 მლნ ღირებულების 1927 ხელშეკრულება და 2015 წ - 1,36 მლნ ღირებულების 251 ხელშეკრულებაა დადებული.
2013-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის (ერთ პირთან პირდაპირი მოლაპარაკების) გზით დადებული კონტრაქტებიდან რამდენიმე თავისი ღირებულებით და შესრულების პირობებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.
მაგალითად, ამ პერიოდში კომპანიამ სულ 3 კონტრაქტი დადო, რომელთა სავარაუდო ღირებულება 1 მლნ ლარს აღემატებოდა, აქედან ორი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, ერთი კი შპს ზიმოსთან გააფორმა.

*შპს ზიმოსა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას შორის დადებული კონტრაქტი*

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N 1118 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 6 893 824 ლარი „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოეყო.

გამოყოფილი თანხა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაითურში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამდე მისაყვანი წყალსადენისა და წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას უნდა მოხმარებოდა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, "გაერთიანებული წყალმომარაგების" კომპანიამ გამარტივებული შესყიდვის წესით ისარგებლა.

მიუხედავად ამისა, კომპანიის მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული მომსახურების სწრაფად და შემჭიდროვებულ ვადებში მიღება. საგულისხმოა, რომ შპს ზიმოსა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში პროექტის დასრულების ვადის გადაცილების გამო რამდენიმე ცვლილება შევიდა. კერძოდ, შეიცვალა პროექტის დასრულების თარიღი. ნაცვლად, 2014 წლის 31 აპრილისა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების არაუგვიანეს ვადად 2017 წლის 30 აპრილი განისაზღვრა. პროექტის ვადების რამდენჯერმე

შეცვლისა და პროცესის გაჭიანურების გათვალისწინებით, გაუგებარია, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, რატომ არ ისარგებლამ კომპანიამ ტენდერით და რატომ გამოიყენა “სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების” საფუძველი, თუკი სამუშაოების დასრულების თავდაპირველი თარიღის 3 წლით გადავადების რესურსი არსებობდა.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ დროისათვის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 4 321 861.83 ოდენობის თანხა გადაიხადა, თუმცა ლაითურის წყალმომარაგების პროექტი ჯერჯერობით დასრულებული არ არის.

*გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სხვა ხელშეკრულებები*

კომპანიის გამარტივებული შესყიდვების პრაქტიკაზე აუდიტის სამსახურმაც გამოთქვა შენიშვნები. განსაკუთრებით საინტერესო გამარტივებული შესყიდვის გზით დადებული ორი ხელშეკრულებაა.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, 2013-2014 წლებში კომპანიამ სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისგან“ 375,063 ლარად შეისყიდა აზომვის მომსახურება, რისი მიზანიც იყო კომპანიის ძველი ქსელების დაზუსტება და საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია, თუმცა ძველი ქსელები საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. უფრო მეტიც, შესრულებული სამუშაოების გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიწისზედა და მიწისქვეშა კოორდინატებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იყო.

საყურადღებოა ასევე, იმავე წლებში განხორციელებული კიდევ ერთი გამარტივებული შესყიდვა. კერძოდ, შპს „GM HIDRO”-ს 379,013 ლარის ღირებულების ხელშეკრულების საფუძველზე ბაკურიანში ხელოვნური თოვლის საწარმოებლად წყალმომარაგებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები უნდა განეხორციელებინა. კომპანიისთვის კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების 90% ანაზღაურებულია, თუმცა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ ვერ დაადგინა რამდენად შეესაბამება გადახდილი თანხა ფაქტობრივ დანახარჯებს, რადგან მიმწოდებელმა ექსპერტიზას ვერ წარუდგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი ანგარიშები.

**დასკვნა**

წარმოდგენილი მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შპს “გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შესწავლა” კიდევ ერთხელ ააშკარავებს სახელმწიფო საწარმოებში არსებულ კორუფციულ რისკებს და ამ პრობლემებთან საბრძოლველად ქმედითი ზომების მიღების აუცილებლობას.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკების აღმოსაფხვრელად უნდა გაძლიერდეს ანტიკორუფციული მექანიზმები - გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები სახელმწიფო საწარმოებში, მათ შორის, სათანადო საკანონმდებლო რეგულაციების დაწესების გზით; აუცილებელია საქართველოში მოქმედი ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრინციპები სრულად გავრცელდეს სახელმწიფო საწარმოებზე და სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელების შერჩევისა და თანამშრომლების აყვანისთვის კანონით დადგინდეს გამჭვირვალობის, ღია და სამართლიანი კონკურსით შერჩევის

მაღალი სტანდარტი. ასევე, უმნიშვნელოვანესია, აღმოიფხვრას საწარმოების საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევის პრაქტიკა.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” რეკომენდაციებს სრულად შეგიძლიათ გაეცნოთ ამ კვლევაში.